№ 36 **სახალხო გაზეთი** № 36

შაბათი, 19 ივნისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი პირველი


## „სახალხო გაზეთის"

კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ **7 მანეთი.** ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ, **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც 5 მან. 50 კაპ. ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

**სახალხო გაზეთის კანტორა.**

## სათავად-აზნაურო სახაფხულო თეატრი

**შაბათს, 19 ივნისს, 1910 წელს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის სუფლიორი **ბ. ბეგლარიძე** გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება:

I

### ძ უ ნ წ ი

კომედია 2 მოქმედებად გ. ერისთავისა.

**მონაწილეობენ:** ქ.ქ. ქილარჯიშვილი, შოთაძე, ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ბეგლარიძე, მატარაძე, გ. ჭელიძე, ზ. საფაროვი და სხ.

II

### დიდი დივერტისმენტი

**მონაწილეობენ და თავის თხზულებას წაიკითხავენ:** შ. არაგვისპირელი, ახოსპირელი, ბაბილინა, განდეგილი, გრიშაშვილი, დუტუ მეგრელი, ეკალაძე, ელეფთერიძე, ირეთელი, ლუკაშვილი, ს. ყიფიანი, კ. მაყაშვილი, დ. კასრაძე, რ. ლეჩხუმელი, ლ. მეტრეველი, დ. ნაზუცრიშვილი, ნარ-კანი, პართენაშვილი, ტრიფონ რამიშვილი, ცქვიტი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს $8^{1}/_{2}$ ს.** ბილეთების ფასი 2 მ. 60 კ-დან 40 კ-დე.

**ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.**

მოწესრიგე **ბეგლარიძე—ახოსპირელი.** რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

## ◀ ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი ▶

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე

შაბათს, 19 ივნისს, 1910 წელს,

**ა. იმედაშვილისა და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით**

წრის სცენის-მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

### ქ ზ რ ა ე ლ ე ბ ი

დრამა 4 მოქმ. ჩირიკოვისა.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი ბ. ნებიერიძე, ა. საგინაშვილისა; ბ-ნნი: მ. ანაშვილი, დ. ბაქრაძე, გამყრელიძე, გოცირიძე, ა. იმედაშვილი, მ. ინაშვილი, მეტრეველი, ს. პეპანოვი, ფრონისპირელი, კ. ხახანაშვილი, ჭანკვეტაძე და სხვ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ-დღე: დილის 12—2 და საღამოს 6—8 ს.

**დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.**

**ანონსი:** შემდეგი ქართ. წარმოდგენა გაიმართება კვირას 27 თიბათვეს მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი აშირბაჟიანი", ტრ. რამიშვილისა და „მაღაროს მუშა". გერბიდონისა.

რეჟის. **ა. იმედაშვილი.** ადმინისტ. **ა. ჭაბერაშვილი.** მორიგი წევრი **დ. ბაქრაძე.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ბავშ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—1½ ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ, 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ, მ,** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხოზოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცკონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6—207)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფი ივის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**მ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ზ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—363)

## ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

**პატარა ცემში**

**გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:**

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს. (25—16)

## ჭიათურის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო

იწვევს საზოგადო ჩვეულებრივ წლიურ კრებას 27 ივნისს, დილის 12 საათზე, ადგილობრივ თეატრის დარბაზში.

**გ ა ნ ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ი ს ა გ ნ ე ბ ი:**

1. მოხსენება საბჭოსი;
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა;
3. 1909 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. 1910 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება;
5. არჩევნები გამგეობის ერთი წევრისა, საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიისა.

ეს კრება არის დანიშნული მეორედ და რამდენი წევრიც უნდა შეიკრიბოს კანონიერი იქნება. თანახმად წესდებისა. (3—6.—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 23 ივნისს, 1910 წ.**

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სახლის სცენაზე თანამედროვე პიესა

### ● ყომარბაზის ცხოვრება ●

დრამა 5 მოქ. ა. ბაჟიაშვილისა.

ამ პიესას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფრანგულ, რუსულ და სომხურ ენებზე, ევროპის მთელ ქვეყნებში და ჯერაც დარჩენილია ყველა სახალხო რეპერტუარში. მონაწ. ღებულობენ ქ-ნნი: თ. აფხაზიშვილი, მ. ლელაშვილი, ა. გავთელი; ბ-ნნი: ლ. ბაღაშვილი, გ. გელიკურაშვილი, ი. რევაზოვი, ა. გოჩიტაშვილი, რ. ხალაყაია, ნ. მირველოვი, ბ. მაისურაძე, ლ. მიწაბოგარელი, ს. სულთანოვი, დავითოვი და სხ. ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ადმინისტრატორი **ლ ბაღაშვილი.** (3—უ.—1)

**—კვირას, 20 ივნისს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—**

**გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი**



### ჭ ი დ ა ო ბ ა

**ყმაწვილების მზრუნველთა საზოგადოების**

**ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ**

**დღეს იჭიდავებს 7 წყვილი:**

### ● კულა გოდანელის ●

თანადასწრებით

1. **სარქის ამირხანოვი** გამოჩენილი ჭიდაობის მსაჯული, რომელიც გამარჯვებულს ჭიდაობის გამოუცხადებს 50 მან. საჩუქრად. რომელიც გაიმარჯვებს მომავალ კვირას დაეჭიდება ტონე თიანეთელს; 2. ლადო გელაშვილი და მიხეილ ჩაგროვი, გადამწყვეტი ჭიდაობა; 3. მიხეილ ლიტვინოვი და მამედ-ამინ ჩაფალოვი, გადამწყვეტი ჭიდაობა; 4. ისაკა მთიული და თედო კაკაშვილი, თედო კაკაშვილის გამოთხოვნით; 5. შაშუა ვერელი და თედუა ლომიძე; 6. პატარა კახელი და სპირიდონ მანჯავიძე; 7. ვასო ბეკურაშვილი და ალექსანდრე ბეკაური

**ჭიდაობის მოყვარენი:**

1. ოგანეზ ხაჩატურიანცი და ჯიმშო სიღნაღელი; 2. კოლა დარახველიძე და დათიკო ხარილავა, 3. მედროგე ბორგაშვილი და ალექსანდრე ნაჭალადეველი; 4. გიორგი იორდანესშვილი და პარახოტა ბუტიკაშვილი; 5. ციგა გამჯიაშვილი და ნიკა თეთრაძე.

**ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი.**

ადგილების ფასი: ლოჟა 4 მ., 1-ლი რიგი 80 კ., 2—60 კ., 3 და 4—50 კ., გალერეია 30 კ. დასაწყისი საღამოს $5^{1}/_{2}$ საათზე. ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.** (2—321—1)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი აბასთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი** იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—3)

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

### ალიონი

**მიიღება ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად, 1 ივლისამდე.**

1 **კარლ კაუცკი.**—(კარლ-მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან **ფ. მახარაძისა**, ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით და მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობით და განმარტებებით. დაახლოვებით 500 გვერდამდე.

2 **ივ. გომართელი.** „ადამიანის ნება და ზნეობა" 100 გვერდამდე.

3 **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** „ბედის ტრიალი" (რომანი) და „ეკლესიის გარშემო" (მოთხრობა) ავტორის სურათით (ორივე ერთ წიგნად), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მღვდელ-დიაკვნის სამღვდელოების ცხოვრებიდან 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.** ხელის მოწერა დაიწყო პირველ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება **1-ლ ივლისს.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ეღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლობის მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ-ფასად გამოცემა, რასაც ამტკიცებს „ალიონი"-ს მიერ გამოცემული წიგნები: N 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის მოწერით 60 კ. და N 2. „გლეხი-კაცის ისტორია" 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გადარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ასეთები უსათუოდ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია **ამ ს სტემით წიგნების გამოცემა.** ამიტომ ვურჩევთ მსურველთ ხელის მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ. ხელ-მოსაწერ კვიტანციებზე დაკრულია «ალიონის» ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და ტფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. N 21.

როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში ხელის-მოწერა მიიღება ჩვენ აგენტებთან.

**„გლეხი-კაცის ისტორიაზე" ხელის მომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ წიგნები უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ.** ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, უნდა გვაცნობონ ღია წერილით, ამასთანავე თუ წიგნში ფურცლები გაფუჭებული აღმოჩნდეს, ასეთ წიგნებს გამომცემლობა გამოუცვლის ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 21. **აქვე გადავიდა წიგნის მაღაზია „ალიონი".** (0—6) წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

## ზემო ავჭალაში

იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**ი ყ ი დ ე ბ ა**

### „მოგზაური",

თვიური ჟურნალი, სამი წლისა **ერთ მანეთად.** ამ ნომრებში დასტამბულია სურათები ეპისკოპოს კირიონისა, ლეონიდისა, სიონის ტაძრისა, ცხეთისა, ალავერდის და მრავალიც სხვანი. ქალაქ გარეშე გასაგზავნად მანეთს ხარჯი მიემატება მხოლოდ. (3—2)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—88)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი), დილით 9—12 ს. ... ქ., სახლი ფირალოვისა. (72—33.—70)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქ უ თ ა ი ს შ ი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მიხა ქიქოძის სახლი. (0—უ.—208)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—150)

**ექიმი მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში.** იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბეჲიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგოლოვისა. (25—33.—2)

**ქართულ** გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფე ამზადებს მოწაფეებს დაბალ გიმნაზიურ კლასებისთვის და სხვა სასწავლებლებში.

იკითხეთ „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში. (0—6.—7)


## ტფილისი, 19 ივნისი.

ფინლანდიის კანონ-პროექტი სახელმწიფო საბჭომაც მიიღო. მოულოდნელი აქ არაფერია. მოულოდნელი და გასაკვირველი ის იქნებოდა, სახელმწიფო საბჭოს არ დაედასტურებინა სათათბიროს მიერ მიღებული კანონ-პროექტი. გამარჯვებულმა რეაქციამ თავის საწადელს მიაღწია. ის რაც ვერ განახორციელეს ბიუროკრატის თვით-ნებობის დროს, მშვენივრად განახორციელა „სახალხო წარმომადგენელთა" კრებულმა. ფინლანდიის კანონ-პროექტი, ამ ჟამად უკვე კანონად გადაქცეული, მარტო ადგილობრივ და საიმპერიო კანონმდებლობათა შორის ურთიერთობას არ აწესრიგებს, როგორც დაბეჯითებით ირწმუნებოდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი. ყველა ძალიან კარგათა ხედავს, რომ სტოლიპინი მარტო ამ აზრით არ არის გამსჭვალული. ეს რომ ასე იყოს, მაშინ კანონში შეტანილი არ იქნებოდა ისეთი მუხლები, რომელნიც სკოლებსა და სხვა კულტურულ საქმეებს ეხება. უკვე მიღებულ კანონ-პროექტს, თქმა არ უნდა, მოჰყვება წვრილ-წვრილი კანონები, რომელნიც სრულს დეზორგანიზაციას შეიტანს ფინლანდიის კულტურულ ცხოვრებაში.

ყველა ამის განხორციელება კი არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება ერთის შეხედვით ეგონოს ადამიანს. ფინლანდია ისეთი ქვეყანა არ არის, რომლის მოსპობაც კანონ-მდებლობით შეიძლებოდეს. ქაღალდზე დაწერილის ცხოვრებაში გატარებისთვის მთავრობას ... ... ... ლებს წინ აღუდგება ძლიერი კულტურა ფინლანდიელებისა, მათი დაუცხრომელი სურვილი სიცოცხლისა და განვითარებისა. ამ ნიადაგზე, რა თქმა უნდა, ჩუმი, მაგრამ მაინც სასტიკი ბრძოლა გაიმართება მთავრობასა და ფინლანდიის სურვილებს შორის. მთავრობა დაწყებულ საქმეს ლოღიკურ დასკვნამდე მიყვანას მოისურვებს, ფინლანდიაც, თავის წილად, არაფერს დაზოგავს, რომ რაც შეიძლება მეტი პოზიციები შეინარჩუნოს. გაჩაღდება ბრძოლა, სისტემატიური მიხეთ-მოხეთქება, სრულიად უსარგებლო და უაზრო.

სწორედ ამ მოვლენას გაურბოდნენ სათათბიროს ზომიერი წევრები, ისინი პრინციპიალურად კანონ-პროექტს არ უარჰყოფდნენ, მაგრამ არც მთავრობის რედაქციით უნდოდათ მიეღოთ იგი. წარმოვიდგინოთ, რომ განცალკავებული არსებობა ფინლანდიისა, მისი დამოუკიდებელ სასახელმწიფოებრივი ხასიათი მართლაც სახიფათო იყო რუსეთის სახელმწიფოებრივობისთვის. მაგრამ რა უნდა ვსთქვათ სკოლების შეტანის შესახებ საიმპერიო კანონმდებლობაში? ცხადია, მთავრობას მარტო „კანონიერ" ურთიერთობის დამყარება არ აინტერესებს. მას სურვილი აქვს ფინლანდიის კულტურულ ცხოვრების ყველა სფერაში შეიჭრას და თავის სურვილებს დაუმორჩილოს იგი.

ფინლანდიის ნორმალურ განვითარებას წინ ძლიერი საფრთხე აღმართა, მაგრამ არა ნაკლებ ძლიერი კულტურა თავმდებია იმისა, რომ იგი უვნებლად გადურჩება ამ საფრთხეს.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

თავმჯდომარეობდა **გუჩკოვი.**

კრებას დაესწრო 30 წევრი. გუჩკოვმა გამოაცხადა სია იმ კანონ-პროექტებისა, რომელნიც უმაღლესად იქმნა დამტკიცებული. შემდეგ წაიკითხა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით სათათბირო საზაფხულოდ შესწყვეტს მუშაობას 17 ივნისიდან 15 ოქტომბრამდე. სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა მოხდება 15 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე. ამ სხდომაზე განიხილავენ—სასკოლო კომისიის მოხსენებას სახალხო განათლების მინისტრის სახალხო სკოლების შესახებ კანონ-პროექტზე.

# სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

**17 ივნისის სხდომა.**

პირველად თავჯდომარეობდა გოლუბიევი. თითქმის უკამათოდ მიღებულ იქნა კანონპროექტი—სასოფლო-საექიმო დახმარების რეფორმა ევროპისა და აზიის რუსეთის გუბერნიებში. შემდეგ კანიხილეს და და მიიღეს რამდენიმე კანონპროექტი. საბჭომ ფეხზე ადგომით მოისმინა უმაღლესი ბრძანება საბჭოს სხდომების შეჩერებაზე საზაფხულო, არდაგებების გამო. ამის შემდეგ სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა მოხდება 15 ოქტომბერს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**18 ივნისი.**

**საზღვარ-გარედ.**

**რომი.** დეპუტატთა პალატაში რომის წარმომადგენელი მაზა ლაპარაკის დროს უცებ გარდაიცვალა.

**ბუხარესტი.** საბერძნეთ-რუმინიის ინციდენტმა, რომელიც რუმინიის ორთქლ-მავალ „იმპერატორ ტრაიან“-ზე დაცემის დროს მოხდა, რუსეთისა და იტალიის წყალობით მშვიდობიანად ჩაიარა. ამ სახელმწიფოების ელჩებმა თავს იდვეს თვითონ დააწესონ გადასახადი, რომელიც უნდა უხდოს საბერძნეთმა რუმინიის გემს და მგზავრებს. დადებულია შემდეგი პირობები: 1) საბერძნეთმა ოფიციალურად მწუხარება უნდა გამოსთქვას ამ ინციდენტის გამო, 2) დამნაშავენი უნდა დაისაჯონ, 3) ჯარიდან გაქცეული ჯარის კაცი უნდა გასცეს და 4) პირეის ნავთსადგურის უფროსმა ორთქლმავალ „იმპერატორ ტრაიან“-ის კაპიტანს პირადად თანაგრძნობა უნდა გამოუცხადოს, როცა გემი პირეიაში გაივლის. საბერძნეთმა ამ პირობებზე თანხმობა განაცხადა... [illegible]

მანქანეთა და ცეცხლის შემკეთებელთა ფედერაციამ და რკინის გზის მსახურთა სინდიკატმა მიტინგი გამართა. მიტინგს 10,000 კაცი დაესწრო. გადასწყვიტეს, თუ ეკონომიურ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენ, საერთო გაფიცვა გამოაცხადონ. მიტინგის შემდეგ სადგურის წინ მანიფესტაცია გამართეს. პოლიციამ მანიფესტანტები გაფანტა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის საბიუჯეტო კომისიაში სლოვინთა ობსტრუქციამ მწვავე ხასიათი მიიღო. მუშაობის მომხრე უმრავლესობა ებრძვის ოპოზიციას, რათა პალატის დახურვა თავიდან აიცილონ. ღამე კრების გამართვის შესახებ წინადადებას უარყვეს. ობსტრუქციის მომხრე სლოვინებმა, რომელთაც სლავიანთა კავშირმა დაუჭირა მხარი, 1300 წინადადება შეიტანეს საყოველთაო კენჭის საყრელად.

**მადრიდი.** ხელმწიფემ წინადადება მისცა იუსტიციის მინისტრს პარლამენტში შეიტანოს კანონ-პროექტი, რომლითაც მინისტრებმა ხელმწიფეს აღარ უნდა მისცენ ფიცი, არამედ უბრალოდ სიტყვა უნდა დასდონ, რომ ერთგულნი იქნებიან კონსტიტუციისა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. დეპუტატი მილვუა შეეკითხა მინისტრს წყალქვეშ მავალ ნავ „პლიუვიოზ“-ის დაღუპვაზე და სთხოვა გამოაცხადოს, რომ ნავი დაიღუპა შემთხვევით და არა იმიტომ, რომ კონსტრუქცია არ უვარგოდა. მინისტრმა საპასუხოდ სთქვა: „პლიუვიოზი“ რომ ძალიან არ დაშავებულიყო, კალეში ყველანაირ ზომებს მიიღებდნენ, რომ ნავი ზევით ამოეტანათ და კატასტროფა თავიდან აეცდინათ, მაგრამ ყველა შემთხვევათა წინდაწინ გათვალისწინება შეუძლებელიაო.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ სესიის დახურვის შემდეგ თავმჯდომარის თანამდებობას თავი დაანება სასჯელის მოსახდელად, რომელიც მას გრ. უვაროვთან დუელის გამო მიუსაჯეს, 18 ივნისს იგი ბოლგარეთში წავა სლავიანთა კრებაში მონაწილეობისა მისაღებად.

**ხერსონი.** პატიმართა ციხიდან გაქცევა გუშინ ასე მოხდა: სახე[illegible]ბის დროს ათმა პატიმარმა, რომელთაც კატორღა ჰქონდათ გადაწყვეტილი, შეჰკრეს ორი ზედამხედველი, გამოცვივდნენ გარედ, თოკის საშუალებით ეზოს კედელზე გადავიდნენ და დნეპრისკენ გაიქცნენ. გარედ მდგომმა ყარაულებმა სროლა აუტეხეს და ორი მოჰკლეს. სროლის ხმაზე გაიღვიძა ზედამხედველმა და განგაში ასტეხა. თვითონ გამოეკიდა გაქცეულებს, ერთს წამოეწია და დაჭერა უნდოდა, მაგრამ გაქცეულმა იგი დანით სასიკვდილოდ დასჭრა. გაქცეულ პატიმრებს სხვებიც დაედევნენ. მოკლეს ოთხი, მძიმედ დასჭრეს ერთი მათგანი. ორმა დანიშნულ ადგილამდე მიაღწია, ჩაჯდა წინდაწინვე გამზადებულ ნავში, მაგრამ ერთი მათგანი მოკლეს, მეორე მძიმედ დასჭრეს. მაშინვე მოვიდნენ გუბერნიის მმართველი და პროკურორი.

**ვოლოგდა.** ზოგ-ზოგ გაზეთებში კრასნობორსკის გადაწვის შესახებ ტყუილი ცნობები იყო მოთავსებული. 12 სახლისა და ქალაქის საზოგადო სამართველოს ქვის შენობის გარდა ქალაქი სულ ერთიანად გადაიწვა. ზარალი ნახევარ მილიონ მანეთს უდრის. შენობათა მეტი ნაწილი დაუზღვეველია. დაზარალებულთა დასახმარებლად გამართეს ხელის მოწერა.

**ნიჟნი.** ღამე გაძარცვეს ნიჟეგოროდის მაზრის დალნეკონსტანტინოვის სოფლის სამართველო.

**მოგილევი** (გუბერნ.) დაბა კადინში გადაიწვა 80 სახლ-კარი.

**ეკატერინოდარი.** მაიკოპის ახლოს აპშერონის გზაზე ყაჩაღები თავს დაეცნენ ნავთის მწარმოებელს ვინტერს და მის სეკრეტარს. წაართვეს 5000 მან. მეტი და სხვა და სხვა დოკუმენტები.

**ვარშავა.** რევიზიის მომხდენელმა სენატორმა სისხლის სამართალში მისცა სამი ინჟინერი და მაგისტრატის სამი საინჟინერო კანდუქტორი. მათ ქრთამის აღება ბრალდებათ.

**ხერსონი.** ღამე მეათე გაქცეული კატორღელიც შეიპყრეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ გაქცეულებს ხელთ ჰქონდათ სამი რევოლვერი, ცული და დანები. ორი რევოლვერი ზედამხედველებისთვის წაერთმიათ, ხოლო მესამე თექვსმეტი პატრონით გარედგან შეუპარებიათ.

**ჰელსინგფორსი.** ვაზასის გუბერნატორმა კასტენ დეპონმა სენატს [illegible] დგომის შესახებ.

**რიგა.** გაიხსნა ლატიშელ მხატვრების ნაწარმოებთა პირველი გამოფენა.

**მოსკოვი.** ქალაქის თავი გუჩკოვი სლავიანთა საერთო კრებაზე 19 ივნისს მიდის.

**როვნო.** გაჩხრიკეს ადგილობრივ საინტენდანტოს საქონლის დამმზადებელნი, წაიღეს ყველა წიგნები.

**ხოლერა**

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა კიდევ ორი კაცი. ივნისში სულ ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3 კაცი.

**ხერსონი.** კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 39, მორჩა 28, გარდაიცვალა 12 კაცი. გუბერნიაში ავად გახდა 249, მორჩა 80, გარდაიცვალა 98 კაცი. სულ ეპიდემიის გაჩენის აქეთ ავად გახდა 512, მორჩა 164, გარდაიცვალა 171 კაცი.

**ზემლიანსკი.** 2—12 ივნისამდე ხოლერით ავად გახდა 12, გარდაიცვალა 4 კაცი.

**ორიოლი.** კრომის მაზრის სოფ. მუხანოვში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი.

**ასტრახანი.** ხოლერით გარდაიცვალა დონის ოლქიდან ჩამოსული ორი კაცი.

**ანანიევი.** მაზრაში ეპიდემიის გაჩენის აქეთ ავად გახდა 7, გარდაიცვალა 4, საავადმყოფოში წევს 3 კაცი.

**ვოზნესენსკაია.** კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7 კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** 16 ივნისს ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი. ოლქში ავად გახდა 38, გარდაიცვალა 23 კაცი. ტაგანროგში ავად გახდა 8 კაცი. როსტოვში და ნახიჩევანში ავად გახდა 62, გარდაიცვალა 24 კაცი.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **საშინელი ქარიშხალი.** 9 ივნისს საშინელი ქარიშხალი სწვევია ტფილისის მაზრის სოფლებს: ყარაჯალარსა, აგტაგლიასა, ყარატალლისა. ქარიშხალს ძალზე დაუზარალებია ხეხილები და ნათესი. ბევრს ადგილას მინდორზე დაგროვილი თივა მოუტაცნია და აგრეთვე დაუქცევია ბევრი ძველი სახლი. ოფიციალურ ცნობებით, პირველ [illegible] სოფელს მოსვლია ზარალი 10.000 მანეთისა, მეორეს—15.000 მანეთისა, ხოლო მესამეს—80.000 მან.

✦ **საფილოქსერო კომისია.** სულ მოკლე ხანში ალაზნის მხარეს საფილოქსერო ჯგუფი მიემგზავრება იქაურ ვაზის გამოსაკვლევად.

✦ **სეტყვისა და ნიაღვრის შედეგი სოფლად.** უკანასკნელ ნიაღვრებსა და სეტყვას ბომბნევის საზოგადოების (გორ. მაზ.) ზოგიერთ სოფლებისთვის 4.000 მანეთამდე ზარალი მიუყენებია.

✦ **გამოქცეული ჯარისკაცი.** 17 ივნისს ტფ. მეშვიდე უბნის პოლიციამ შეიპყრო ტფ. მოქალაქე არტემ (იგივე არშაკ) არტემის ძე აბულოვი, რომელიც ლიუბლინის პოლკში ჯარისკაცად იყო და 1905 წელს გამოიქცა. შეპყრობილი ტფ. საკომენდანტო სამმართველოში გაგზავნეს.

✦ **სალიტერატურო სალამო.** დღეს, 19 ივნის სათავად-აზნაურო საზაფხულო თეატრში გაიმართება ქართული **წარმოდგენა და სალიტერატურო სალამო — დივერტისმენტი.** წარმოდგენილი იქნება „ძუნწი“ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით. დასასრულ გაიმართება **დივერტისმენტი** ორ განყოფილებად, რომელშიაც ჩვენი მწერლები წაიკითხავენ თავის თხზულებას: არაგვისპირელი—ბრძენი ვეზირი; ახოსპირელი—სევდა. განდეგილი—პოეტი; გრიშაშვილი—უსათაურო; დუტუ—მეგრელი—ჩემი ტაძარი; ეკალაძე—შვილი მუშა ბოქულაძისა, ელეფთერიძე—პატიოსანი ცოლი; ირეთელი—პირველი სხივი; დ. კასრაძე—პანთეონის ნანგრევებ შუა; ლუკაშვილი—დღეობაში (ნაწყვეტი) კ. მაყაშვილი—დემონი; მეტრეველი—კითხვები უპასუხოთ, ნახუცრიშვილი—საფქვავი; ნარკანი—ვერ დაგივიწყებ; პართენიშვილი—დედა; ტ. რამიშვილი—მონოლოგი) „შეშლილიდან; ვ. რუხაძე—მე აქ მყავს სატრფო, გ. ქუჩიშვილი—სამარაძე; ს. ყიფიანი—საშინელი შურის-ძიება.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა ტფ. გუბერნატორს სთხოვა, დანიშნოს საგანგებო კომისია ტეხნიკოსისა, ექიმისა, პოლიციის მოხელისა და მცოდნე პირ[illegible] ტელეგრაფის კანტორის შენობის შესამოწმებლად. უფროსს ამას წინად დაუთვალიერებია შენობა და იმ დასკვნამდე მისულა, რომ კანტორის დატოვება ახლანდელ სადგომში შეუძლებელია, რადგან შენობა ძალიან ვიწრო და ბნელიაო.

✦ **ანანოვის სკოლა.** ამას წინად ანანოვის სახელობის სომხეთა სკოლის სამზრუნველომ სრულიად უსაბუთოდ 12 მასწავლებელი დაითხოვა. ახლა კი სამზრუნველომ წინადადება მისცა დათხოვნილ მასწავლებელთ კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე. როგორც გამოგვცეს, სამზრუნველოს ეს წინადადება მხოლოდ სამს მასწავლებელს მიუღია.

✦ **გეოლოგიური ექსკურსია.** მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვლენ ეკატირანოსლავის უმაღლეს სამთო სასწავლებლის პროფესორი ნ. ი. ლებედევი, ასისენტი სამთამადო ინჟენერი ა. კ. კარკანი. მათ აზრად ჰქონიათ კავკასია გეოლოგიურად გამოიკვლიონ. მათთან ერთად ჩამოვა 25 სტუდენტი. მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა მეცნიერული აზრით ვარშავის უნივერსიტეტის ექსკურსია, რიცხვით 20 კაცი.

✦ **პროექტორი „ილლიუზონ“ი.** მეათე უბნის ბოქაულმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ივანიცკის ქალის პროექტორ „ილლიუზონ“-ის დაკეტვის შესახებ. ბოქაული შუამდგომლობას იმით ასაბუთებს, რომ ამ პროექტორში სავალდებულო დადგენილების წინაალმდეგ მოსწავლეთ ხშირად უშვებენ 10 საათის შემდეგაო.

✦ **ეჭვით შეპყრობილი.** ტფ. პოლიციის მოთხოვნით ბათუმში ამ დღეებში შეპყრობილ იქმნა ქუთაისის მაზრის, სოფ. ივანდიდის მცხოვრები რომანოზ (მეტი სახელი „საშკა“ ჰქვია) ნესტორის ძე ქუთათელაძე და 17 ივნისს ჩამოყვანილ იქმნა ტფილისში, სადაც გადაეცა ქალაქის მესამე სამომრიგებლო განყოფილების გამომძიებელს. ქუთათელაძეს ბრალდება 1909 წელს 23 მაისს ტფ. მეთერთმეტე უბნის პოლიციელის იოსებ სკრიტის მოკვლის განზრახვა.

✦ **კურს დამთავრებულნი.** ტფილისის ქალთა მეოთხე გიმნაზიის შვიდი კლასი წელს შვიდმა ქართველმა გაათავა და ატესტატებიც მიიღო. მათი გვარები: თამარა ბაქრაძე, ანტონინა დავითაშვილი, ნატალია ელენტი, მარიამ ქიქოძე, ელენე ნაცვლიშვილი, მარიამ საყვარელიძე (ოქროს მედლით) და ოლღა თოიძემ. ამავე სასწავლებელში წელს რვა კლასი გაათავა და მასწავლებლობის მოწმობაც მიიღო რვა ქართველმა. მათი გვარები: მა-

# ბიოლოგიური შენიშვნები

VI *)

ზემოდ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი უჯრედზე და მისს აგებულებაზე. რამდენადაც შეგვეძლო, ჩვენ გავუთვალისწინეთ მკითხველს მისი სხვა და სხვა თეორია, დავანახეთ, რა იყო მართალი და რა სათუო ამ თეორიებში. ეხლა ვნახოთ, როგორ სცხოვრობს უჯრედი, როგორ მოქმედობს, რაა მისი ცხოვრების შინაარსი? „თუ გვინდა პროტოპლაზმის და ბირთვის შეგნება, ამბობს ოსკარ გარტვიგი, უნდა შევისწავლოთ მათი ცხოვრებითი თვისებანი“.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ბუნებაში ყოველივე ცოცხალი არსი იბადება, იზრდება, ბერდება და მერმე კვდება.—ე. ი. სხვა ნაირად რომ ვსთქვათ—სცოცხლობს. ამ სიცოცხლის დროს ის სჭამს, სვამს, იცვლის ფორმას, მრავლდება და სხ. უჯრედიც ცოცხალი არსებაა, მაშასადამე, ისიც იკვებება, იზრდება, იცვლის ფორმას, მრავლდება და სხ. ეს ცხოვრებითი მოვლენანი ძლიერაა გავრცელებული ბუნებაში და ისე ვართ შეჩვეულნი, რომ ხშირად აღარც კი ვაქცევთ ყურადღებას მათ შინაარს, ხშირად ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ცხოვრებითი უმთავრესი მოვლენანი მარტივად გვეჩვენება. მაგრამ, როდესაც ვუკვირდებით საგანს, ვირკვევთ და ვსწავლობთ მისს შინაარს, ყოველთვის ვრწმუნდებით, რომ საგანი მარტივი კი არა, დიდად რთული რამ ყოფილა. უჯრედის ცხოვრებაში ბევრს იმისთანა რასმეს ვნახულობთ, რომელიც ბიოლოგიის დღესაც ვერ გაუთვალისწინებია და ვერ აუხსნია.

დავიწყოთ უჯრედის ზრდისაგან. ყოველივე ცოცხალი ორგანიზმი თავის არსებისათვის საჭიროებს სასმელ-საჭმელს. უჭმელად და უსმელად არც ერთ ცოცხალ არსებას არ შეუძლია შეასრულოს თავის მრავალგვარი ფუნქციები. როგორც ნათქვამი იყო, უჯრედიც ცოცხალია, მაშასადამე ისიც საჭიროებს სასმელ-საჭმელს, ისიც სვამს და სჭამს, მაგრამ საქმეც ის არის, როგორა სვამს და როგორა სჭამს? გარჩევით ეტანება ის სასმელ-საჭმელს, თუ განურჩევლად? იჩენს თუ არა რომელიმე ამორჩევითი ნიჭიერებას? დიახ! უჯრედი განურჩევლად არასფერს არ სვამს და არ სჭამს, ის ყოველთვის ბრთხილობს, ეტანება იმას, რაც მისთვის უფრო საჭიროა და ამ შემთხვევაში მისი ამორჩევითი ნიჭიერება მართლა რომ ყოვლად გასაკვირველია და საუცხოვო.

ყველა ჩვენი სხეულის უჯრედს ასაზრდოებს ეგრედ წოდებული სისხლის პლაზმა (სისხლი შესდგება პლაზმიდან და სისხლის ბურთებისაგან). პლაზმა რთული აგებულებისაა, შესდგება მრავალ სხვა და სხვა ორგანოვან და უორგანო ნივთიერებისაგან. სხეულის სხვა და სხვა ნაწილს პლაზმიდან გამოაქვს ის, რაც საჭიროა მისთვის, მაგ. ღვიძლის უჯრედები სწუწნიან მარტოკა იმას, რაც საჭიროა ნაღველის გადასამუშავებლად, ნერვწყვის უჯრედები—ნერვწყვის შემადგენელ ნაწილს, მუსკულის—იმას, რაც აძლევს სხეულს ღონეს, ძალას, ნერვების—განსაკუთრებულ გრძნობიერებას და სხ.

პაწაწა ერთ უჯრედიანი ორგანიზმებიც დიდ ნიჭიერებას იჩენენ სმაჭამაში. აი ამის მაგალითიც. წყალში სცხოვრობენ პაწაწა ძირფეხები. ყველა ძირფეხები ერთ და იმავე პირობებში სცხოვრობენ. ყველანი აკეთებენ ნიჟარს. პირველი შეხედვით ნიჟარი ერთგვარი შედგენილებისაა, მაგრამ, როდესაც ვუკვირდებით, ვიკვლევთ, ვრწმუნდებით, რომ ის სხვა და სხვა შედგენილების ყოფილა, ზოგიერთი შესდგება ნახშირ-მჟავისაგან და კირისაგან, ზოგიერთი—კაჟიან მიწისაგან. რა მიზეზი უნდა იყოს ამისი? აი რა. როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ, ძირფეხა თავის ნიჟარას იშენებს წყლიდან. წყალში ბევრია ნახშირ-მჟავი, კირი და კაჟი. ზოგიერთ ძირფეხას წყლიდან გამოაქვს ნახშირ-მჟავი და კირი, ზოგიერთს—კაჟი, ამ ნივთიერებას ისინი ინელებენ და იშენებენ თავიანთ ლამაზ ნიჟარას. აქედან სჩანს, რომ ძირფეხა განურჩევლად არ ხმარობს წყლის შედგენილებას, წყლიდან ის ითვისებს იმას, რაც უფრო ხელსაყრელია და გამოსადეგი მისთვის.

ამასვე გვიმტკიცებს პროფ. ცენკოვსკის დაკვირვებანი. მას მოუთავსებია ჭურჭელში ორი ერთგვარი ძირფეხა. ჭურჭელში ჩაუყრია სხვა და სხვა საჭმელი, სხვათა შორის, ხლოროფილის მარცვლები და ძაფური წყალ-ბალახა, იმის მიუხედავად, რომ საჭმელი სხვა და სხვანაირი ყოფილა, ერთი ძირფეხა თურმე სულ ეტანებოდა და სჭამდა მარტოკა ხლოროფილის მარცვლებს, მეორე — წყალ-ბალახს. ცენკოვსკის ამოუღია ჭურჭლიდან ხლოროფილის მარცვლები და წყალბალახა. ძირფეხას არ მოსწონებია ეს, შეჩერებულა და მოუსპია ჭამა, რამდენიმე დღე საჭმელი არ მიუკარებია და მხოლოდ მაშინ ამოძრავებულა, როდესაც ხელახლად მიუწოდებიათ ხლოროფილი და წყალ-ბალახი, რაა ყოველივე ეს თუ არა ის, რომ ძირფეხა დიდი ამორჩევითი ნიჭიერებით ყოფილა აღჭურვილი!

მაგრამ რაა ძირფეხას საჭმლისადმი ამორჩევით ნიჭიერება ფაგოციტების ამგვარივე ნიჭიერებასთან შედარებით! ყოვლად გასაკვირველი და საუცხოვო ნიჭიერებით არიან აღჭურვილნი ფაგოციტები ამ შემთხვევაში. მათი ცხოვრება და მოქმედება მეჩნიკოვის წყალობით ეხლა კარგადაა შესწავლული და ამისთვის ჩვენც შევჩერდეთ ცოტათი მათზე.

როგორც ფიზიოლოგიიდან ვიცით, სისხლი შესდგება ორგვარ პაწაწა ბურთისაგან: ერთს ეწოდება სახელად სისხლის თეთრი ბურთები ანუ ლეიკოციტები. მეჩნიკოვს მათთვის დაურქმევია სახელი ფაგოციტები ანუ შთანთქმელები (მჭამლები — მყლაპველები), მეორეს— სისხლის წითელი ბურთები. ლეიკოციტები ანუ ფაგოციტები განირჩევიან იმით, რომ სცხოვრობენ დაუკიდებლად, მუდამ მოძრაობაში არიან, გადი-გამოდიან, როგორც ამიობები, მოგზაურობენ, იჭერენ და სჭამენ სხვაგვარ უჯრედებს, ბაქტერიებს, მიკრობებს. ამათ დიდი სამსახური მიუძღვით მთელი სხეულის წინაშე, მაგ. ეხმარებიან სხეულს საჭმლის მოხარშვაში: საჭმლის მოხარშვის დროს გამოდიან კედლებიდან, იტაცებენ პეპტონებს, შეაქვთ სისხლში და აქცევენ ცილად. ამასვე სჩადიან ქონის შეწოვნის დროს: დაიტვირთებიან ქონის პაწაწა ბურთებით და შედიან სარძევე მილებში. ხშირად თავს დაეცემიან სისხლში შეტანილ მავნე სხეულებს. მაგ. ბაქტერიებს, მიკრობებს, შეეტაკებიან მათ, შეებრძოლებიან და ხშირად შთანთქავენ მათ, ხშირად მოხდება ისიც, რომ ფაგოციტები თავს ანაცვალებენ სხეულის კეთილდღეობას, მაგ., როდესაც სხეულში შევა რაიმე მავნე ნივთიერება, ისინი, როგორც ნათქვამი იყო, შეებრძოლებიან მათ, სცდილობენ დასძლიონ და თუ ვერ დასძლევენ—ღონეს იკრეფენ—გარედ მაინც გამოათრიონ—ამის მაგალითს წარმოგვიდგენს ხინწი, რომელიც გამოუდის ადამიანს კანზე. გამორწყვის დროს ეს ხინწი სავსეა ფაგოციტებით.

ყოველგვარი ანთება ბაქტერიების მიზეზია ამ ბაქტერიებსაც ძლიერ ემტერებიან ფაგოციტები. მათ შორის მუდმივ სასტიკი ბრძოლაა. ფაგოციტები ძალზე სდევნიან მათ, მაგრამ ზოგიერთი ბაქტერიები უშვებენ საშინელ შხამს და ამით ადამბლავებენ ფაგოციების მოქმედებას, თუმცა აქაც ხშირად ქედს არ იხრიან და სცდილობენ რაიმე ხერხი იღონონ მათ დასათრგუნავად. მაგ. ჰლექის ბაქტერიების შხამი საშინელი ძალისაა, მას მხოლოდ კირი ასუსტებს, აქარწყლებს და აი, ფაგოციტებიც ხშირად უშვებენ თავიანთ სხეულიდან ამ კირს და აგროვებენ იმ ადგილს, სადაც ბუდობენ ჰლექის ბაქტერიები. ფაგოციტები ერეკებიან არა თუ გარედან შესულ მტერს, არამედ შიგნეულ მავნე ელემენტებსაც. როდესაც ადამიანს გაუფუჭდება, დაულპება რაიმე შიგნეული ნაწილი, მაშინვე ამ გაფუჭებულ ადგილს მიესევიან ფაგოციტები და სწრაფად სჭამენ, სცდილობენ გაფუჭებულმა ნაწილმა არ ავნოს მეზობელ საღ ნაწილსაც. აგრეთვე, როდესაც ადამიანს გაუწყდება ტვინის სისხლის მილი და სისხლი ჩაენთხევა ტვინში, სწრაფად გამოდიან ფაგოციტები, იყრიან თავს დაკვირვებულ სისხლთან, სჭამენ და ამრიგად ანთავისუფლებენ ტვინს მძიმე ტვირთისაგან. ასე და ამრიგად ფაგოციტები დიდ ნიჭიერებას იჩენენ თავიანთ ცხოვრებაში. ისინი განურჩევლად არასფერს არ ეტანებიან, პირიქით ძლიერ ფრთხილობენ, დიდ წინდახედულობას იჩენენ და საუცხოვოდაც აღწევენ თავიანთ მიზანს.

ყოველივე უჯრედი თუ თავისუფლად სცხოვრობს, ჯერ იცავს თავის ინტერესს და მერმე ეხმარება სხვას, თუ კი—სხვის სხეულშია ორთავე მოვლენას ერთად ასრულებს. ამ შემთხვევაში ყოვლად გასაკვირველია მისი მოქმედება. მაგრამ რა მიზეზია, რომ უჯრედი ასე გამორჩევით ეტანება ცხოვრებით პირობებს? ამაზე თანამედროვე ბიოლოგია მაინც და მაინც ბევრს ვერ გვეუბნება. ზოგიერთის შეხედულებით უჯრედის ამორჩევითი ნიჭიერება შედეგია ფიზიურ-ქიმიურ პროცესისა, სხვა და სხვა ატომების მიწევ-მოწევისა, ზოგიერთის შეხედულობით კი—ყოველივე ეს ჯერ-ჯერობით გონს მიუწდომელია და გამოურკვეველი.

დ. ფ.

*) იხ. „სახალ. გაზეთი“ N 30.

რიამ ღვინიაშვილი, ანასტასია კაიშაური, თამარა ლომინაძე, ანნა მაკალატია, ნინა მეფარიანი, ევდოკია სახოკია, ელენე ხუნდაძე და ალექსანდრა წინამძღვრიშვილი.

✦ 17 ივნისს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო ტფ. მოქალაქე გ. ა. გაიკაზოვი, რომელიც 1906 წ. ქურდობისათვის ტფილ. საგენალ-გუბერნატოროდან იყო გადასახლებული. მას პასპორტი აღმოაჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრებ გიორგი ჩიხვაიძის სახელზე. შეპყრობილს პასუხის გებაში აძლევენ.

✦ 17 ივნისს ქალაქის სხვა და სხვა უბანში მასიურ ჩხრეკის დროს პოლიციამ 45 უპასპორტო შეიპყრო.

## უარის მოხსენება

(წერილი რედაქციისადმი)

ბატონი გიორგი იოსელიანი დასავლეთ საქართველოდგან წინადადებას აძლევს ქართველს საზოგადოებას იუბილეი გამიმართონ. თანაც დასძენს: როგორც ჩვენ ვიცით გოგებაშვილის ხასიათი, იგი უარს იტყვისო; მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს საზოგადოებასაო.

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

როცა ათის წლის წინად იწყეს წერა ჩემის 35 წლის იუბილეის გადახდის თაობაზე, კატეგორიული უარი განვაცხადე და ასეთი დავასაბუთე: ჯერ ქართულის ლიტერატურის იალბუზებს გაუმართეთ ღირსეული იუბილეი და მერმე სერების იუბილეიზე იფიქრეთ მეთქი.

მასუკან ერთს იალბუზს ქართველმა საზოგადოებამ დიდებული იუბილეი გაუმართა; მაგრამ მეორე იალბუზს ქართველთა ხელმა ღვთაებრივი შუბლი გაუგმირა ტყვიით.

ჩააკვირდით ამ უკანასკნელს საზარელს ფაქტსა, გაიხსენეთ ჩემი მაშინდელი უარის მოტივი, საბუთი, და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია ფსიხიურად და ზნეობრივად დავთანხმდე იუბილეის გამართვაზე.

ამას გარდა, ორმოცდა ხუთმა წელმა ჩემი მოღვაწეობისამ უკვე განვლო, ორმოცდა ათამდე კი კიდევ კაი მანძილია, ხოლო რუსეთის „პროგრესი“ ისე უდრეკლად მისწრაფება წინ, რომ, ვგონებ, ხუთის წლის შემდეგ ყოველ გვარი იუბილეი აკრძალული იქმნება, გარდა პურიშკევიჩის და ვალია მარკოვის იუბილეისა.

პიროვნებას რომ ვზე ავუქციოთ და პრინციპიალურის თვალსაზრისით შევხედოთ საგანსა, უნდა ვაღიაროთ, რომ იქნება არსად არ იყოს ისე საჭირო იუბილეების გამართვა, როგორც ჩვენს სამშობლოში. იუბილეი საზოგადო მოღვაწეს მეტად ამხნევებს, ძალას უმატებს და მეტს აკეთებინებს, ვიდრე იგი გააკეთებდა უიმისოდ. თვითონ საზოგადოებაზედაც ჩინებული აღმზრდელი გავლენა აქვს: აჩვევს მას საქვეყნო მოღვაწეობის ღირსეულად დაფასებას, უძლიერებს თანაგრძნობას ამგვარის მოღვაწეობისადმი, და, რაც უფრო ძვირფასია, ყმაწვილთა წრეში ჰბადავს და აღორძინებს მისწრაფებას—თავისი ძალღონე მოანდომოს და შესწიროს საქვეყნო საქმეებსა, რასაც მოსდევს ისეთი დაუფასებელი ზნეობრივი ჯილდო, როგორიც არის საერთო გამოცხადება პატივისცემისა იუბილეის საშუალებით.

ამის გამო, ქართველი საზოგადოება კარგად იქცევა, როცა ბოლოს წლებში ხშირად მართავს იუბილეებსა. ჩემ შესახებ კი ვთხოვ დიდი თხოვნით, ტყუილად ნურას შესწუხდება.

იაკობ გოგებაშვილი.

## მოწერილი ამბავი

**მიქელ-გაბრიელის საზოგადოება.** (გურია). ზაფხული შექა-ქუხილით და წვიმა-ავდრებით დაიწყო. რამდენიმე დღე და ღამე გამუდმებით იწვიმა. მდინარეები ნაპირიდან გადმოვიდა და ნათესი გაათუჟა. თან საგრძნობლად აცივდა. აჭარა-გურიის მთები ხელახლა ჩამოთოვა; იშვიათი მოვლენაა, რომ ამ დროზე მთა დათოვოს! ამბობენ მთაში თოვლის გამო დიდძალი საქონელი დაზარალდაო. სოფლები მეტად დაღონებულნი არიან თუ ასე გასტანა, ძმაც, ყანები ერთობ დაუმუშავებელი დარჩებაო. წელს ჩვენში ბევრი ჭაობიანი მინდვრებია დათესილი. თუ წვიმები მოუხშირა, ცხადია მოსავალზე „უკაცრავად“ დარჩებით.

წვიმა-ავდრებმა ჩაიაც ცუდი დღე დააყენა. წვიმების გამო ჩაის გამოკვება გაჭირდა. სიცივემ ცახზე ასასხლელად გამზადებული ჩაი დაავადმყოფა. ბევრი მეაბრეშუმე სრულიად ხელცარიელი დარჩა. პარკის ფასიც ჯერ ჯერობით სანუგეშო არაა. მყიდველები ფუთ პარკზე თუმანს გაჭირვებით იძლევიან.

ხეხილებს წელს ცოტა აბია. ბლომად მოისხა მხოლოდ ვენახმა. თუ ამინდმა შეუწყო ხელი, ღვინის მოსავალი თითქმის უზრუნველყოფილია.

აისის მიწურულში სადგურ ნატანების მახლობლად ნავთის ქურდობა აღმოაჩინეს. საქმე აი როგორ მოხდა; ქურდებს ღამით ნავთის მილი გაუჭრიათ, როცა საჭირო ნავთი ამოიღეს, მილი უნდა დაეხურათ, მაგრამ ნავთს უცაბედად ცეცხლი მოსდებია და დახურვა ვერ მოუხერხებიათ. ცეცხლი რკინის გზის დინდაგს მოედო და ხიდი დააზიანა. მეორე დღეს გამძვინვარებული ცეცხლი ძლივს-ძლიობით ჩააქრეს. მატარებლების მიმოსვლა რამდენიმე ხნით შეჩერებული იყო. ქურდებს ურმები მოეყვანათ და ნავთი მაინც წაეღოთ. კვალს გამოუდგნენ და რამდენიმე მეურმე დაატუსაღეს. როგორც გამოირკვა, ნავთის ქურდობა ზოგიერთ ვაჭარ-ტონებს ხელობად გაუხდიათ. იმ ადგილას, სადაც მილი გაჭრეს, აღმოჩნდა მილის გასაჭრელი მანქანა, ნავთის საქაჩავებელი რეზინა, ცარიელი ბოჭკები და სხვა მოწყობილობა. ქურდობაში ზოგიერთ რკინის გზის მოსამსახურესაც უდევს წილი. შემჩნეული პირები დაატუსაღეს. ზოგიერთებმა გაქცევა ამჯობინა და იმალება.

სახალხო სკოლების ინსპექტორმა ამ დღეებში წინადადება მისცა სოფლებს მიქელ-გაბრიელში არსებულ ორ-კლასიან სასწავლებელთან გახსნან სამეურნეო განყოფილება და დაარსონ ერთკლასიანი საქალებო სკოლა. მასწავლებლების შენახვას მთავრობა კისრულობს. სოფლებს განაჩენზე ჯერ არ მოუწერიათ ხელი. თუ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს, მომავალ წლიდან მიქელ-გაბრიელებს გვექნება ხუთი სამინისტრო და ერთი სამრევლო სასწავლებელი, რაც თითქმის საკმაოა პირველდაწყებით სწავლის მისაღებად.

ი. დონეშვილი.

---

**ქ. გორი.** 31 მაის ღამის ორ საათზედ, როცა გორის ბოქაულის თანაშემწენი ყიფიანი და ჯავახიძე ქალაქის ქუჩებს უვლიდნენ, სემინარიის ქუჩაზედ დაუნახავთ ვიღაც უცნობი, რომელიც მეფაიტონეს ფულზედ ეჩხუბებოდა. პოლიციელნი მაშინვე მისულან მოჩხუბართან და ვინაობა გამოუკითხავთ, მოუთხოვნიათ პასპორტიც. უცნობს პასპორტი არა ჰქონია, შეუპყრიათ და გოროდოვოისთვის გადაუციათ პოლიციის ნაწილში წასაყვანად. უცნობს გაუგდია რამდენიმე ნაბიჯი და გაქცეულა. გოროდოვოის უსროლია, მაგრამ უნაყოფოდ. სროლაზედ ბოქაულის თანაშემწენი ისევ გაჩენილან, მოუძებნიათ უცნობი, რომელიც გარეშე პირის ხვენებით, ერთ მიწურ საჭურჭლეში შეგარდნილა. მოუტანიათ სანათი, ბოქაულის თანაშემწე ყიფიანი საჭურჭლეში შესულა და ერთის სროლით უცნობი სასიკვდილოთ მხარში დაუჭრია. ამ ადგილზე მივიდა მაზრის უფროსი გამომძიებლით. დაჭრილი ისევ ცოცხალი იყო და გამომძიებლისათვის ეთქვა, რომ ის ჯარის-კაცია, ნოვობაიაზეთის პოლკში მსახურობს — გვარად ისაკა კრავეიშვილი. ბ. ყიფიანის სიტყვით კრავეიშვილი უცაბედათ დაჭრილა და მას მხოლოდ შეაშინებლათ ჭერში გაუსროლია თოფი. კრავეიშვილი ჩქარა გარდაცვლილა. იგი მართლა გორის ნოვობაიაზეთის პოლკის ჯარის-კაცი ყოფილა. 8 თიბათვეს აქ ვიღაც უცნობმა ბოროტგამზრახველმა ერთის სროლით მძიმედ დაჭრა ნოვობაიაზეთის ჯარის-კაცი ბარკოვი, რომელიც ამ დროს პოლკის ერთ-ერთ შენობას დარაჯობდა.

9 თიბათვეს ქ. გორის სასამართლოში ჩამწყვდიეს ბადასარ სვიმონოვი, რომელსაც გორის მაზრის სოფლებში ყალბი ათ თუმნიანები დაჰქონდა და უნდოდა გლეხებისთვის შეეტყუებინა.

11 თიბათვეს ამ რამდენიმე თვის წინათ დაარსებულ პოლიციელების კურსებზე გამოსაცდელი ეგზამენი მოხდა, რომელზედაც დაესწრნენ, სხვათა შორის, ტფილისის გუბერნატორი და კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გუტაცი.

გ. ქ.

---

**ჩელიაბინსკი.** კავკასიაში სამხედრო წესის მოსპობის შემდეგ გადმოსახლებულთა პირობებმა ფერი იცვალა. ტფილისის მაზრიდან და აგრეთვე დანარჩენ გუბერნიებიდან ვადით გადმოსახლებულთა გარდა, ყველა დაქსაქსეს სხვა-და-სხვა გუბერნიებში: სარატოვში, პენზაში, სამარაში, სიზრანში, ასტრახანში და სხვაგან. დანარჩენთ, რომელთაც აქ ეწიათ ბედი ცხოვრებისა, კაი დღე არ დაადგათ: ორენბურგის გუბერნატორის განკარგულებით, ყველა გადმოსახლებულს აკრძალეს სამაზრო ქალაქებში ცხოვრება და დაგზავნეს სოფლებში 200-300 ვერსის სიშორეზედ.

დღეს თუ მოხვდა ქალაქ ადგილს, როგორც მაგალითად, ჩელიაბინსკში, ტროიცკში, ვერხნე-ურალსკში და სხვ. იმ წამს იჭერენ და გზავნიან ფეხის ეტაპით სოფლებში. თუ ვინმემ გაბედა და გაიქცა სოფლიდან ქალაქში, ამ გვარ თავ-ხედობისათვის კვლავ იჭერენ, ეტაპით გზავნიან დანიშნულ სოფლებში და აძლევენ სამართალში 63 მუხლის ძალით.

ამ გვარმა დაქსაქსვამ გადმოსახლებულთა დიდი დეზორგანიზაცია მოახდინა. ამ გვარ დეზორგანიზაციას მოჰყვა სრული დემორალიზაცია. დღეს ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს... არავითარი პატივისცემა ურთ-ერთ შორის, არავითარი შიში და მოკრძალება აღარ არსებობს. ყველა თავისას გაიძახის, ყველა თავისკენ იწევს...

გახშირდა ცარცვა-გლეჯა, ქურდობა, ავაზაკობა... მთელი სოფლები აკლებულია გადმოსახლებულთაგან. ქათმების სისხლა გააწყვეს, სადაც გაჟღენილ საცხლებს მოახელებენ, იპარვენ. ადგილობრივი საზოგადოება, წინად თუ პატივისცემით ეპყრობოდა, ყოველ-მხრივ ეხმარებოდა. — დღეს ზურგი აქცია, გაურბის როგორც ნადირს...

აი, ამ გვარმა პირობებმა გადმოსახლებულნი გამოუვალ პირობებში ჩააყენა და დღეს ვეღარ ახერხებენ ქურდობას „გარში“, ვინაიდან ხალხი მედგრად ხვდება მათ და სადაც-კი მოასწრებენ ამგვარ „ოპერაციაზედ“, — ცემით ცხვირ-პირს ამტვრევენ და ცხვირიდან ძმარს აღენენ.

მაგრამ ეს ვაჟბატონები გულს არ იტეხენ, იგინი გულ-მშვიდად კვლავ განაგრძობენ თავიანთ საყვარელ ხელობას, მაგრამ განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღეს იგინი გარეშეს-კი არა თვით თავიანთ „ამხანაგებს“ ჰპარვენ; ერთმანერთს სძარცვენ, რასაც მოახელებენ სახლში, თუ ფულს, ან ტანთ-საცმელს და შიშველ ტიტველსა და მშიერ მწყურვალს სტოვებენ.

წინდაწინვე უნდა ვაღიარო, რომ ამგვარს ოპერაციებს ყველა გადმოსახლებული არ ჰკიდებს ხელს. არის მათ შორის ბევრი პატიოსანი, რომელიც უ-ყველთვის სცდილობს თავისი პატიოსანი შრომით მოიპოვოს ლუკმა პური, მაგრამ ამგვარ ელემენტს სულ 5% თუ შეადგენს მთელ ორენბურგის გუბერნიაში გადმოსახლებულთა რიცხვისა.

ამას წინად ყარაბაღელმა სომეხმა მაღაქია დალაქიანმა მიიღო სახლიდან ფული. ეს გაიგეს სტეფანე მირუაშვილს და ილია გუნდიშვილს. აი ამ ვაჟბატონებმა ერთ მშვენიერ დღეს დაჰპატიჟეს ტყეში, დაათვრეს და ამოაცალეს უბიდან 33 მანეთი. როდესაც მაღაქია დალაქიანმა გადაწყვიტა მათი პოლიციის ხელში გადაცემა, სადაც მოჰკურცხლეს. პოლიციამ მაინც გაიგო ეს საქმე და დაუყოვნებლივ დატუსაღებულნი იქმნენ სხვა სოფლებში. დღეს სხედან სასოფლო სატუსაღო სახლში და რით გადაწყდება მათი ბედი — არ ვიცით.

ამ გვარი ქურდობა და აგრეთვე სხვის სახლზედ ფოსტიდან ყალბი მოწმობით ფულის გატანა და ათასი უმსგავსოება მრავალი მოხდა ორენბურგის გუბერნიის უზარმაზარი სივრცეზე, სადაც მრავლად არიან გაფანტულნი ჩვენი გადმოსახლებულნი, მაგრამ სად არის ან გული ან ადგილი ამისათვის, რომ ყოველივე დაწვრილებით გადაეცეს ქართველ საზოგადოებას. მაშ დავკმაყოფილდეთ ზოგიერთი მაგალითების მოყვანით.

სოფელ მიშკინოში ჩვენმა გადმოსახლებულებმა ყოვლად საზიზღარი და ჯერ არ გაგონილი საქმე ჩაიდინეს: ცოცხალ ძროხას ეკანა რბილი ადგილები (ბაყვები) ამოაჭრეს და მწვადებად აგეს. ამგვარი საზიზღრობისთვის ლინჩის სამართალი სურდა მოეხდინა ყველა გადმოსახლებულზედ სოფელ მიშკინოს საზოგადოებას. ამგვარი სიმხეცე თვით პირველ-ყოფილ ადამიანს არ ჩაუდენია.

სულ რამდენიმე დღეა რაც აქ ჩამომიყვანეს ეტაპით, ვინც მხვდება მთხოვს ქართულ გაზეთებს და წიგნებს საკითხავად. ვთხოვ ქართულ რედაქციებს „სახ. გაზეთის“, „ჩვენ გაზეთის“ და ქართველ წიგნის გამომცემელთ, აგრეთვე ქართვ. შორის წ. კ. გამ. საზ. ნუ დაიშურებენ თავიანთ გამოცემებს, უსასყიდლოთ დაურიგონ შორს გადახვეწილ ქართველებს და მით სულიერ საზრდო მიაწოდონ მათ.

მოსულიშვილი.

Адресъ: С. Куртамышъ Челяб. уѣз. Ивану Мосулову.

## ფინლიანდიის ნაციონალური დღესასწაული.

ყველამ იცის, თუ როგორი იერიში მიაქვთ ფინლიანდიაზე. როგორა ხვდება ამას ფინლიანდია, უფრო ადვილად გამოჩნდება მისი ბუნებრივი და მარტივი ნაციონალური ცხოვრებიდგან.

12 ივნისს ტერიოკში გაიმართა ნაციონალურ სიმღერათა დღესასწაული, სადაც გამოჩნდა ფინლიანდიის ერის შეურყეველი მორალური ძალა, მისი ცხოვრების შინაარსიანობა, შეუჩერებელი წინსვლა.

ნაშუადღევისას დაიწყო ნაციონალური ცეკვა. დარბაზი ორ ფერადანი ბაირაღებით იყო მორთული. სცენაზედ მწვანე ფოთლებში მოსჩანდა თეთრი ტილოები ზედწარწერებით ფინურ ენაზედ:

„ამ ხალხს უყვარს თავისი ენა, თავისი ჩვეულება-კანონები და სიმღერა“. „ამას მღეროდა მამაჩემი, როდესაც სთლიდა ნაჯახის ტარსა! ამას მღეროდა დედაჩემი, როცა ართავდა“. „იმგვარად ვხვდებით, იმგვარად გვხვდება ერთმანეთს ჩვენს ღარიბს ადგილებში“. ეს სულ ძველი ხალხური ლექსებიდგან ამოღებული ადგილებია.

ქალებს ნაციონალური ტანისამოსი ეცვათ. ვაჟები სოფლელი ბიჭები იყვნენ. ცეკვა დამაშვრ. ორკესტრი ასრულებდა ფინლიანდიურ ხალხურ პიესებს, რომლებიც ასე ბევრს ეუბნებოდნენ მცხოვრებთა ნაციონალურ გრძნობას, რაც დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ფინურ საზოგადოებაზედ.

უფრო საინტერესო წუთი იყო ტალმანი სენატორის გამოსვლა ტრიბუნაზედ, რომლის გარშემო თავს მოუყარა მომღერალთა გუნდებს. ახალგაზრდა ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილმა ქალმა გვირგვინით შეუმკო ტალმანს გული. ირგვლივ გაისმა აღტაცებული ტაში.

ტალმანი—მხედველობით ორმოცი წლისაა—ლაპარაკობდა ხმა დაბლა, წყნარად. ირგვლივ სასტიკი სიჩუმეა. სიტყვა სავსე სილაღით და ენერგიით. სიტყვას ყველა სულგანაბული უსმენდა გათავებამდე.

სიტყვის შინაარსი მოკლედ ასეთია:

„ნუ გგონიათ, ფინლანდელებო, რომ სამგლოვიარო ზარის ნაცვლად, აქ გაისმოდა სიმღერა. ნუ გგონიათ, რადგან არა გვწამს ჩვენი უკანასკნელი ჟამის დადგომა. არა, ეს ჟამი ჯერ არ დამდგარა.

როგორც ყოველთვის, ეხლაც ჩვენი ძალების შეერთებას ვისწრაფვით. ჩვენი უმთავრესი ძალა—კანონია. და ჩვენი ძლიერების საუკეთესო საშუალებაა—მტკიცედ ვიდგეთ ჩვენს კანონებზედ; სხვა კანონები ჩვენთვის არ არის, და არც შეიძლება იყოს“.

შემდეგ ისაუბრა ორატორმა ფინლიანდიის ხალხის ძმურ სამუშაოდ, ერთად შესაკავშირებლად, იმ პოლიტიკური სიდუხჭირის გამო, რომელიც ეხლა მისდგომია ფინლიანდიას.

— კარელია, — სთქვა სხვათა შორის სეიმის თავმჯდომარემ სვინხუვუდმა, — ყოველთვის პირველი ხვდებოდა მტერსა, და უნდა ის მტკიცედ იყვეს ეხლაც, როცა ფინლიანდიის განსაცდელი მოელის. ფინლიანდია არასოდეს არ მოუხრის ქედს უკანონობას. ფინლიანდია თავის უფლებებს არავის დაუთმობს და ყველაფრისთვის მზად არის.

როგორც სჩანს, დიდი ამბები მოხდება ამ მოკლე ხანში.

რამდენი სულიერი, მორალური ძალა უნდა იყოს ამ პატარა ერში, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთელი რეაქცია შეესია ფინლიანდიას, მაინც ეროვნული ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობას არ უხვევს და მტერს უშიშრად უხვდება.

## ბიბლიოგრაფია

**Н. Я. Марръ. Изъ поѣздки въ Турецкій Лазистанъ.** (впечатлѣнія и наблюденія).

წიგნი, რომლის სათაური გამოვწერეთ, წარმოადგენს ჩვენი მეცნიერი მამულიშვილის ნ. მარრის მოხსენებას, წაკითხულს მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო-საფილოლოგიო განყოფილების 1910 წ. მარტის 24 დღის სხდომაზე.

ნ. მარრს ოსმალეთის ჭანეთი მოუვლია იმ განზრახვით, რომ შეესწავლა მის ძირითად მკვიდრთა ჭანური, ან როგორც უძველესი ტერმინით იწოდება ლაზური ენა, რომელიც თურმე თავისუფალია ქართულის, თუ მეგრული ენის გავლენისაგან.

მეგრული ენა რა ენა არის ისეთი, მისი გავლენისაგან თავისუფალი იყვეს ჭანური ენა? განა შეიძლება ითქვას გურული და ფშაური ენის გავლენისაგან თავისუფალი ქართული ენა? მეგრული ისეთი უმნიშვნელო ტერმინია ჭანურის მიმართ, როგორც გურული, ან ფშაური ქართულის მიმართ. ეგრისი ეგრის ადგილია და წარმოების დროს თავს დაირთავს მ—ანს ისე, როგორც ეგვიპტე (მეგვიპტელი), აჩაბეთი (მაჩაბელი), რუისი (მროველი) და სხვა. მაშასადამე მეგრული ნიშნავს უფრო გეოგრაფიულ სახელს ისევე, როგორც ფშაური. როგორც ეს უკანასკნელი ქართული ენაა, ისევე მეგრული იგივ ჭანურია, მათ შორის დიალექტური განსხვავება ისევე შესაძლებელია, როგორც გურულ, ფშაურსა და ქართულში.

1884 წ. სალონიკის ნავთ სადგურში გემზე გავეცანი ერთ ჭანს, ხანში შესულსა, რომლის მაღალი და ხმელი ტანი ეხლაც თვალწინ მიდგია. გამოველაპარაკე ერთი ართვინელი ქართველი მაჰმადიანის პირით და ვთხოვე, ჩაეწერინებინა ჩემთვის ჭანური სამიჯნურო ლექსები. ღიმილით შემომხედა და რაღაც უთხრა ოსმალურად ჩემს მოენესა, როგორც შევიტყე, თურმე ეთქვა, ხომ არ უნდა იმ ლექსებით მერე გაუაშიყდეს მეგრელ გოგონებსაო.

თვითონ პატივცემულ მარრსაც მგზავრობის დროს ასეთივე ამბავი დაჰმართნია. ერთი არქაბელი ჭანისათვის უთხოვნია, აბა რამ შემატყობინე ჭანურის ენისა ჭანურადვეო. არქაბელ ჭანს უარი უთქვამს და ოსმალურად უპასუხნია, **მეგული ხომ იცი, იგივე არისო** (იხ. გვ. 551).

ცხადია, მეგრული, როგორც ზემოთა ვთქვი, ჭანური ენის დიალექტი, კილოა ისევე, როგორც ფშაური ქართულისთვის. ჭანური კი ეთნიურ ტერმინს წარმოადგენს ისევე, როგორც ქართული.

ათი დღის შემდეგ ნ. მარრს დაუწყია ჭანურად ლაპარაკი ჭანებთანვე (იხ. გვ. 555). მარრი არა თუ მეცნიერია საოცარი პოლიგლოტიც არის, ე. ი. ზენარისაგან მოჰმადლებია იშვიათი ნიჭი ენის მეცნიერებისა, მაგრამ მის ქართველობასაც დიდი წილი უძევს, ჩვენის აზრით, იმაში, რომ ჭანური ლაპარაკი ათ დღეში დაუსწავლია. მეგრელი რომ ყოფილიყო ჩვენი ჩინებული მამულიშვილი, ჭანეთში ჩასვლისათანავე ამოიდგამდა ჭანურად ენასა.

ასე რომ არ ყოფილიყო, ჭანეთის მკვიდრი წმ. ნინო როგორ იქადაგებდა ქრისტიანობას ქართლში? ნუ თუ იარაღად გამოადგებოდა ბერძნული, თუ ებრაული, რომელიც ... უნდა ჰსცოდნოდა?

ნუ თუ ცამეტმა ასურელმა წმ. მამამ VI საუკუნეში ფარსმან მეექვსის მეფობაში, ქრისტიანობის გასამტკიცებლად ქართლში იარაღად იხმარეს ასურული ენა და **არაქართული**? თითქმ ასურებს (გლავკო სირიოი) ხომ ჭანებს ეძახდნენ? ამ წმ. მამათა ჭანელობა და მათი ქართველთა ნათესაობა ჯერ კიდევ განსვენებულმა პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა დაამტკიცა ჭანეთის ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ-ლინგვისტიკური გამოკვლევით (იხ. **კაპადოკია, ანუ ჭანეთი** ისტორიულ ეთნოგრაფიული მიმოხილვა, პეტერბურგი უნივერსიტეტის პროფ. დ. ჩუბინაშვილისა) მცხეთის კათალიკოსმა ევლაგიოსმა წმ. იოანე ზედაზნელისაგან ქართულად მოკითხვა სასწაულად მიიჩნია, ის კი აღარ იცოდა, წმ. იოანე სადაური იყო და საითგან მოდიოდა თავისი თანამოღვაწეებით, ნ. მარრიც ხომ ამასვე აღიარებს, როცა ამბობს, ჭანები ბერძნის ეკლესიის გავლენასავრცელებდნენ საქართველოშიო (იხ. გვ. 549).

ნ. მარრის თხზულება ცხლა ცხადჰყოფს, რომ რუსეთის გავლენა ჭანეთში უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე სპარსეთის ჩრდილოეთში, სადაც რუსეთის გავლენის სფერის დაცვამ შეიძლება ომიც მოსთხოვოს რუსეთის სახელმწიფოს საბჭოსა. მეცნიერ პროფესორის გამოკვლევით, ამ ჟამად ოსმალეთის ჭანეთში რვაასიოდე რუსის ქალია თურმე ჭანებზე გათხოვილი, რუსული ენა ბევრგან ისმის, რუსულ ფულს ზოგჯერ უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე ფრანგულსა და რუსეთისა და ჭანეთს შუა ალებ-მიცემობა გაჩაღებულია.

ამას გარდა, გამოუკვლევია ჭანეთის მიწა-წყალი სოფლებისა და მდინარეების ალნუსხვით, ასე რომ რუსეთის უმთავრესი შტაბის რუკა ხელ-ახლა უნდა შესდგეს, რადგანაც სახელმძღვანელოდ ვერ გამოუყენებია. შეუსწავლია კიდევ მკვიდრი ხალხი და მისი ცხოვრება.

ზოგიერთი სახელი ავტორს აუხსნელი დაუტოვებია და ვბედავ მათ ახსნას.

ა) გზაში ხშირად შეხვდება კაცი **მოშვაჯინონს**, რომელიც ტალავარსა ჰგავს, სადაც მგზავრები ჩამოხდებიან ხოლმე დასასვენებლად. ამ ოთხ კუთხ ტალავრებს კარები გზისკენა აქვთ, შიგნით გარშემო ჩამოსაჯდომი. შენობა თვითონ ოთხ ბოძზეა და კრამიტის ბანი აქვსო. (გვ. 562). **მოშვაჯინონი**, ჩვენის აზრით, მრავლობითი რიცხვი უნდა იყვეს, მისი დასაწყისიც **მოშვაჯინო**. ეს სიტყვა რთულია, მისი შემავალია **მო**, რომელიც იარაღად თავს დაერთვის სიტყვებსა, **შვა** (შუა) და **ჯინ**, რომელიც ნიშნავს **მოწნილ რახმე**, ურნოს, ბანიანსაც, რასაც ძველად ურმებზე დასდგამდნენ და სახლობის გადასაყვანად ხმარობდნენ. ასე რომ **მოშვაჯინონი** შეიძლება პატარ-პატარა ოთახებად ითარგმნოს.

ბ) „ერთ მეოთხედ საათში ჩვენ ვიყავით ორ მღვიმესთან, რომელიც კლდეში იყოო“, (გვ. 566) და ფრჩხილებში ჩაუსვამს **მღარე** ჭანური სიტყვა. **მღარე** იგივე **მღართა**, რომელიც მღვიმისაგან ჰწარმოებს **რე** სუფიქსის დართვით და ნიშნავს **ქვაბს**, **გამოქვაბულს**.

ჭანური ენა ჯეწინ როზენსაც შეუსწავლია. ნ. მარრს მშვენიერი აზრი მოსვლია, რომ ჭანურ სიტყვებს უფროს ერთ შემთხვევაში ქართული ასოებითა სწერს. ქართული ანბანის სისრულე ქართველ ტომთა ენებისთვის კი არა, მთელი კავკასიის ტომთა ენებისთვის გამოდგება.

იმედი გვაქვს, ნ. მარრმა თავისს მომავალ ჭანურ ქრესტომატიაშიაც გამოიყენოს ქართული ანბანი და ამ რიგად ასცდეს იმ გზას, რომელიც თავს მოახვიეს სვანურ ენას. ყველას მოეხსენება, რა უგვანო და უჯიშო ანბანი შეუდგინეს ძალად მაცხონეებმა **სვანებსა** ერთად ერთის აზრით, რომ მათ და ქართველთა ერთობისთვის საფრთხე დაეგოთ.

ნ. მარრი ამბობს, ლაზებს ქართველები ეძახიან **ჭანებს**, ხოლო ძველი სომხებისთვის იგინი უწყებულ იყვნენ **ჭენ** და **ჭანიც** სახელითა. ჭანი მაგრად გამოთქმული იგივ **კაინია** და ისმის **თუბალ-კაინში**, რომელიც ბიბლიის თქმულობით გამომგონი (მჭედელი) იყო რკინისა და სპილენძისაო (გვ. 548).

**ჭანი** ჩვენის აზრით იგივ **ჭენია**, რომლისაგანაც სწარმოებს **ჭენება** და ნიშნავს **ცხენსა**. უკანასკნელი სიტყვაც იგივ **ჭენია**, ხ-ანით ნაგვირალი, **ჭენიც**, **ცხენიც** მაგრად გამოთქმული მოგვაგოგონებს რუსულ **კონსა**, ხოლო მაგრადვე და უნაზალოზაციოოდ გამოთქმული თანაბარია **კვაცა** ქართულის და **ეკვუს** ლათინურის სიტ-

ყვისა. საფუძვლად არ უნდა მივიჩნიოთ, თუ ჩვენს მოძმეებს ცხოვლის სახელს ვეძახით. რუსული **როსსია**, რუსეთი, **რუსსკი**, რუსი და **რუს**, ჰქვნება ისეთი სიტყვებით, რომელიც ნიშნავს ცხენსა—ფრანგი რომაელისთვის იყო **გალლუს**, რომელიც ნიშნავს მამალს, ხოლო საფრანგეთი **გალლია**. ერთ მეზობელ ხალხს ძველი ქართველი ეძახდა **ჯიქსა**, რომელიც მხეცის სახელია აგრეთვე. მაშასადამე **კაინ ჭანია**.

რაღაა **თუბალ?** ამ სიტყვაში **თ**-ანი საგვრალი ხმაა ისევე, როგორც **თიინა** მეგრულ სიტყვაში. ეს სიტყვა მეგრულში მესამე პირის სახელნაცვალია და ნაზალიზაციონის წესით გამოთქმული. მისი მონათესავეა ქართული სახელნაცვალი ძირი **უ**, რომელიც მესამე პირის საჩვენებლად თავს დაერთვის ზმნებს მასამართ სახიარი ულვლილების დროსა. ნაზალიზაციონის წესით გამოთქმული იქმნება **უნ**, რომელიც მოგვაგონებს **ონ** რუსულ სახელნაცვალს მესამე პირისას. ნაშთი **უბალ** სხვაფრივ გამოთქმული კლასიკური **იბერი** და **იგერი**, ან სპარსული **აგირია**, სუყველა კი წარმოებულია **ვირ** სომხური სიტყვისაგან, რომელსაც სომხები ჩვენ, ქართველებს გვდებენ დღესაც სახელად. ეს სიტყვა თავის ჯერადვე სწარმოებს **ურ** სიტყვისაგან, რომელიც იხმარება ერთად **ხალდუ (ქალდუ, კარდუ, ქართუ)** სიტყვასთან, ორივე კი ქცეულა **ურარტუ, არარატ, ალაროდ** სიტყვად. **ივერი** მოისმის (ვ—ბ—მ) **იმერში** და ნ. მარრის თქმით იგივ მეგრულია თურმე მნიშვნელობით, ხოლო **ივერია ეგრისა, სამეგრელოა** (გვ. 607). თუ ასეა, აწინდელი იმერეთი უნდა იყვეს გაქართველებული ეგრისი, სამეგრელო. დავიჯერო დღევანდელი იმერეთის სამზღვრებში „ივერიის“ პერიოდში ქართველობა არ ყოფილიყვეს?

ნ. მარრის ზემოხსენებულ მგზავრობას რომ ჰკითხულობს ადამიანი, ასე ჰგონია, ჭანები გადაგვარების და გადაშენების გზაზე დგანანო. მაგრამ ავტორისვე მოწმობით სანუგეშო ამბავი ის არის, რომ ოსმალეთის ძველი რეჟიმის დროს ერთ ჭანს მიუყვია ძველი ჭანური წერა-კითხვის შემოღებისათვის, მაგრამ ჩაუმწარებიათ. ეხლა კი ყველა ჭანები თურმე ახალ გაზდა ოსმალთა მიმართულებას ადგანან.

თუ ქართველ მაჰმადიანებს მოელისთ ალორძინება სულებრივ და გონებრივ, ყოველ შემთხვევაში საკულტურო ცხოვრებით ქრისტიან მოძმეებთან შეერთება მაშინ ჭანეთიც გამოილვიძებს და ვინ იცის ეგებ კვლავ წილი დაიდოს საქართველოს კულტურის განვითარებაში. ამის ნიშნები ხომ კიდეც არის!..

**პეტრე მირიანიშვილი.**

# თეატრი და ხელოვნება

**გორი.** 14 ივნისს, ტფილისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით საზაფხულო საკრებულო დარბაზში წარმოდგენილი იქმნა ცნობილი 5 მოქმედებიანი დრამა: „პატარა კახი“. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა, თუმცა ნაკლულევანება ბევრი ემჩნეოდა, მაგრამ ხალხი ნასიამოვნები და კმაყოფილი დარჩა. გივის როლს ბ. ციციშვილი ასრულებდა, მაგრამ მან ვერ წარმოგვიდგინა ის სამშობლოსთვის თავგანწირული ქართველი, რომელიც მტერთა გასანადგურებლად მზად იყო თითონაც მსხვერპლად შესწიროდა და თავის გაზრდილი ბატონიშვილიც შეეწირა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მსახიობმა ოდნავაც ვერ გადმოგვცა ამ ძლიერი ადამიანის სულისკვეთება. რაღაც უსიცოცხლობა ეტყობოდა, ხშირ-ხშირად დიდ-დიდ პაუზებს აკეთებდა, რაც როლის უცოდინარობის უნდა მიეწეროს.

კარგი იყო მოხუცის როლში ბ. იმხნელი, მაგრამ პირველ მოქმედებაში ხშირ-ხშირად ავიწყდებოდა, რომ ის მოხუცის როლში იყო. ბ. იმხნელი საუცხოო იყო მეხუთე მოქმედებაში. ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. იმხნელი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს.

კარგი იყო ბ-ნი იმედაშვილი, ლევანის (მწყემსი) როლში. მშვენივრად შეასრულა თავისი როლი. არა უშავდათ-რა გორელ სცენის მოყვარეებსაც, გ. თაზიშვილს (მეფე) და ქ. ნ. ბასილაშვილს ტურფას როლში.

სამწუხაროდ, წარმოდგენას მეტად ნაკლები ხალხი დაესწრო. მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ მოკლე ხანში რამდენჯერმე დადგა წარმოდგენა. გორელები აგრე რიგად არ ეტანებიან წარმოდგენებს. სამ თვეში ერთხელაც რომ არ წავიდეს წარმოდგენაში—არაფერია. უფრო კომედიებს ეტანებიან.

**გ. კ—ძე.**

—

**საზაფხულო თეატრი.** 16 ივნისს ქართულ საზაფხულო თეატრში დაბალში პეტერბურგის სუდენტთა ქართულ სამეცნიერო წრის სასარგებლოთ გაიმართა საღამო და სეირნობა. საღამო და სეირნობასაც ბევრი დაესწრო, მაგრამ თითქმის ყველანი უკმაყოფილონი დარჩნენ. პირველად წარმოადგინეს „პირ-მზე“. (მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა, სიტყვები შოთა დადიანისა). ნაწარმოები მეტად სუსტი გამოდგა. მუსიკას ძალიან ცოტა ადგილი ჰქონდა დათმობილი და რაც იყო, ისიც რიგიანად შემუშავებული ვერ გამოდგა. დრამატიული ნაწარმოებისაც დამაკმაყოფილებელი არ იყო. ყველა შემთხვევაში ეს ნაწილი, როგორც ორიგინალური, მამასწავებელი ახალგაზდათა გონებისა და გრძნობის მუშაობისა, ყველაზე საინტერესო განყოფილებად უნდა ჩაითვალოს. სამაგიეროდ, უკიდურესი გაკადნიერება იყო იმის მიწოდება მაყურებელთათვის, რაც საღამოს გამმართველებმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდეს. იმიტაცია და შარჟი კარგი რამ არის, მაგრამ არა ისე უხეიროთა და უნიჭოთ მომზადებული. ათასში ერთხელ ორიოდე რეპლიკა მასხარასი ან სხვა ვისმესი თუ გამოაცოცხლებდა საზოგადოებას, თორემ საერთოდ მთელი პროგრამა პირდაპირ ძილის მომგვრელი იყო სასურველია, რომ ქართველმა მოსწავლე ახალგაზდობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და საზოგადოებას შემდეგში მაინც ცოტა უფრო შინაარსიანი გასართობები მიაწოდოს.

—

**სახალხო სახლი.** დღეს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილ იქნება **„ებრაელები“** ჩირიკოვისა. თარგმანი ვალ. გუნიასი.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

**მცირე განმარტება ბ. ფარს.**

„სახალხო გაზეთის“ № 28-ში მოთავსებულია ბ. ფარის „მცირე შენიშვნა“, რომელიც მეხება შემდეგი სიტყვებით: „ვინმე ბედკრულაძე მოგვითხრობს რა ქუთაისის ერთ განაპირა უბნის, სახელდობრ, ზედა საფიჩხიის ავკარგს“ და სხვა. ბ. ფარს უნდა შევნიშნო შემდეგი: ა) ჩემი ვსევდონიმი შეცდომით პატივცემულ რედაქციას მიუწერია, *) ძირულის ხეობის კორესპონდენტისათვის, მხოლოდ არ შეიძლება ითქვას, ვის ეკუთნის ეს კორესპონდენცია. ზედა საფიჩხიის კორესპონდენტს, რომლის ბოლოს მოწერილია „ლოღმელი კაცი“ და ბ) თუ ვითომდა ფოთელ კორრესპონ. ვინმე „ნეგო სიმონელ“-ს. ჩემი წერილები იგზავნება ფოთიდან და ვაწერ ბედკრულაძეს. ბ-ნ ფარის „მცირე შენიშვნა“ მე არ მეხება.

**ბედკრულაძე.**

# რუსეთი

**შვილის გაყიდვა.** იმ წლებში, როცა ყაზანის გუბერნიაში შიმშილი იყო, ბევრსა ლაპარაკობდნენ თათრების ქალების გაყიდვის შესახებ მშობლების მიერ. თუმცა ეხლა შიმშილობა აღარ არის, მაგრამ თავისი ქალიშვილების გაყიდვას თათრები მაინც განაგრძობენ. ამას წინად ერთს პატარა სოფელში თათარს მიუყიდნია თურქმენისთვის თავისი 14 წლის ქალი. თათარს მოუთხოვია 100 მანეთი, მაგრამ შემდეგ 95 მანეთზედ მორიგებულან. თურქმენს უთქვამს, რომ ქალს კავკასიაში წავიყვანო. სოფელ ბაკირგახში იმავე თურქმენს უყიდნია 17 წლის ქალი 150 მანეთად. ამავე თურქმენს წელს უყიდნია სულ 8 ქალი, რომლებიც კავკასიის ქალაქების საროსკიპო სახლებში მიუცია, სადაც ისინი უკვალოდ დაკარგულან. („რადა“).

*) კორექტურული შეცდომაა, ფარის შენიშვნა ბ. ბედკრულაძეს არ ეხება. რედ.

**პოლკოვნიკ ვენსიაცკის მოკვლის გამო.** როგორც მკითხველს გაზეთებიდან ეცოდინება, ამას წინად რადომში თავისავე აგენტმა მოკლა ჟანდარმთა მართველობის უფროსი პოლკოვნიკი ვენსიაცკი. მკვლელმა და მისმა ამხანაგმა იქვე თავი მოიკლეს. როგორც „რუსკ. სლოვო“ გადმოგვცემს, მკვლელები პოლონეთის სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტიის წევრები ყოფილან. ერთი მათგანისთვის ამას წინად დახრჩობა გადაუწყვეტიათ, მაგრამ ციხიდან გაქცეულა. ორივენი კრაკოვში ცხოვრობდნენ. ვენსიაცკის მათთვის წინადადება მიუცია მაძებარ პოლიციის აგენტებად გამხდარიყვნენ. ამასთან გზის ფულად 500 მან. მიუცია და კარგ ჯამაგირსაც დაპირებია. იგინი დათანხმებულან. 2 ივნისს მისულან ისინი მესამე პირთან ერთად „ამხანაგების გასაცემად“ ვენსიაცკისთან. ისინი მაშინვე ვენსიაცკის კაბინეთში შეუყვანიათ. როცა ვენსიაცკი ერთის „ნაამბობს“ სწერდა, მეორეს წამოუვლია მაგიდიდან ვენსიაცკის მაუზერისთვის ხელი და იქვე მოუკლავს. ამის შემდეგ, როგორც ვიცით, თვითონაც იქვე მოიკლეს თავი. ამის გამო მთელ რადომში გახურებული ჩხრეკაა. დააპატიმრეს სხვათა, შორის, მოკლულ ვენსიაცკის რამდენიმე აგენტი.

**ვაკანსიები პეტერბურგის უნივერსიტეტში.** პეტერბურგის უნივერსიტეტში მომავალ სამოსწავლო წლისთვის არის შემდეგი ვაკანსიები: იურიდიულ ფაკულტეტზე 1,200, ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ განყოფილებებზე 450 (თითოზე), ფილოლოგიურზე 500 და აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე 150, სულ 2,750 ვაკანსიაა, ებრაელებს ყველა ფაკულტეტებზე მხოლოდ 82 კაცს მიიღებენ.

**კოოპერატიული მოძრაობა ებრაელთა შორის 1910 წელს.** ჟურნალ „ებრაული მიმოხილვა“-ს სიტყვით წარსულ 1909 წელს იმ ქალაქებში და დაბებში, სადაც ებრაელებს ცხოვრების ნება აქვთ, გაუხსნიათ 89 შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. 1910 წლის პირველ იანვრისთვის ეს რიცხვი უკვე 548 ასულა. ყველაზე მეტი ამხანაგობა ჩრდილო-დასავლეთ მხარეშია (219), შემდეგ მისდევს სამხრეთ-დასავლეთის მხარე (132), სამხრეთის მხარე (98), პოლონეთი (84) და ბალტიის მხარე (15). ებრაელთა საახალშენო საზოგადოებისგან მატერიალურ დახმარებით სარგებლობს 288 ამხანაგობა. ვრცელი ცნობები მხოლოდ 252 ამხანაგობაზე აქვთ შეკრებილი. ამ ამხანაგობებში 1909 წელს ყოფილა 130,769 წევრი, 1910 წ. ეს რიცხვი 18,29 პროც. გაზრდილა. სესხად გაუცია 6,537,600 მ.

# განცხადებანი




Метцль и К. N 187602. (10—Б.—4)

**დავკარგე** 14 ივნისს სუმბათოვოხა და ქვიშხეთის სადგურების შორის მატარებელში ჩემოდანი, რომელშიდაც სხვათა შორის იყო ჩემი დოკუმენტები: მეტრიკა, სიმწიფის ატესტატი და სხ. ვთხოვ, ვინც იპოვის, გამოგზავნოს ჩემი დოკუმენტები, რომელიც ჩემთვის ძალიან საჭიროა და სხვას კი არ გამოადგება, ჩემს სახელზედ ან ბინაზედ.—Тифлисъ, Слѣпцовскій пер. N 3 Мгеброву, ან რომელიმე რედაქციაში, რისთვისაც ჩემგან მიიღებს საჩუქარს. **გიორგი მგებროვი.** (3—1)

## ქართული სამკურნალო ტერმინები

წინასიტყვაობით

ისყიდება:—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და იოს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში.

**ფასი 20 კაპ.**

(5—317—2)

## ექიმი

ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხმაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—122)

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** $9^1/_2$—1ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—$6^1/_2$ საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, ხწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, ხამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| **ბაქოსკენ:** | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, ხამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, ხწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, ხამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, ხწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |

## მეაბრეშუმეებს

**ლ ო ჟ ი ე ს**

ფირმისაგან აბრეშუმის თესლების დაკვეთის სეზონი ახლაა, რადგანაც ახლა მზადდება ფაბრიკაში თესლები, ამიტომ გაუწყებთ ჩემს თანამშრომლებს (და მას, ვისაც ამ თესლების გავრცელება სურს), რომ დაუყოვნებლივ შემოიტანოთ თავის რაიონისთვის საჭირო დაკვეთა, უამისოდ მე თესლებს არ გამოვიწერ.

ფარცხანაყანევის, ზემო ქვიტირის, მაღლაკის, სქინოს, ბაღდათის, სვირის, თერჯოლის, სახხერის, ჩხარის, სენაკის, ნოღალევის და სხვა საზოგადოებებში მსურს აგენტურის მოწყობა თუ შესაფერი კაცები, საიმედო პირობებში იკისრებენ საქმის წარმოებას.

პირობების გაგებათ მიმართეთ შემდეგი ადრესით: იოსებ კაკაბაძეს, ქუთაისში. **ი. კაკაბაძე**

(6—6.—1)

**ტფილ. გუბ. თავად აზნაურთა**

## წინამძღოლი

თანახმად 1895 წ. 25 მაისის უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრისა—ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელ წევრთა მიერ შეტანილ თანხის უკან დაბრუნების შესახებ და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს 1900 წ. დამტკიცებულ წესდების მე-7 მუხლის ძალით ვაცხადებ, რომ ის პირი, ვიზედაც გარდაცემითი წარწერით გადავიდა კვიტანცია **დავით ბესარიონის ძე ლოლობერიძის** მიერ შეტანილ თანხისა ოცდა თორმეტ თუმნის შესახებ (320) მოვალეა ის კვიტანცია წარუდგინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ განცხადების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში იმ პირს სამუდამოდ ესპობა უფლება იმ კვიტანციით ფულის მიღებისა, ხოლო ფული გადაეცემა ლოლობერიძის მემკვიდრეებს. (3—6.—3)

**ტფილ. გუბ. თავად აზნაურთა**

## წინამძღოლი

თანახმად 1895 წ 25 მაისის უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრისა—ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულ ბანკის დამფუძნებელ წევრთა მიერ შეტანილ თანხის უკან დაბრუნების შესახებ და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წ. დამტკიცებულ წესდების მე-7 მუხლის ძალით ვაცხადებ, რომ ის პირი, ვიზედაც გარდაცემითი წარწერით გადავიდა კვიტანცია **თავ. გიორგი მიხეილის ძე ანდრონიკაშვილის** მიერ შეტანილ თანხისა ოთხმოცდა ცხრა თუმნის (490 მ.)—მოვალეა ის კვიტანცია წარუდგინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ განცხადების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში იმ პირს სამუდამოთ ესპობა უფლება იმ კვიტანციით ფულის მიღებისა, ხოლო ფული გადაეცემა ზემოთ მოხსენებულ თავ. **ანდრონიკაშვილის** მემკვიდრეებს. (3—6—3)

**ტფილ. გუბ. თავად-აზნაურთა**

## წინამძღოლი

თანახმად 1895 წელს ოცდახუთ მაისის უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრისა—ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელ წევრთა მიერ შეტანილ თანხის უკან დაბრუნების შესახებ და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წ. დამტკიცებულ წესდების მე-7 მუხლის ძალით ვაცხადებ, რომ ის პირი, ვიზედაც გარდაცემითი წარწერით გადავიდა კვიტანცია **თავ. ივანე გრიგოლის ძე ყარალაშვილის** მიერ შეტანილ თანხისა ორას ორმოცდა ექვსი მანეთის 94 კ. (246 მ. 94)—მოვალეა ის კვიტანცია წარუდგინოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ განცხადების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში იმ პირს სამუდამოდ ესპობა უფლება იმ კვიტანციით ფულის მიღებისა, ხოლო ფული გადაეცემა ზემოდ მოხსენებულ **თავ. ყარალაშვილის** მემკვიდრეებს. (3—6.—3)

**საეჭურნეო ჟურნალი**

## მოსავალი

**წელიწადი მეოთხე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

## სწავლა უფთა და ჩქარ წერას

ვასწავლი 10 გაკვეთილში ... პირადად თუ წერილობით **დაჯილდ. უნივერსიტეტის ატესტ.**, ოქროს მედლით მოწყობილი კარგი წერისათვის. ხუთ შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ვაგზავნი სანდელ წერილის შრიფტის ნიმუშებს და პირობებს.

Одесса, проф. каллиграфіи А. КОССО, Дерибасовская, д. Грузевича. (10—ფ.—)

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

## „ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრ. დილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად **საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—ხამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—ხამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—ხამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურო ქარვასლაში).

**ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში**

## ი ყ ი დ ე ბ ა

| | | |
|---|---|---|
| 1. | ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები | 25 |
| 2. | ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები | 10 |
| 3. | ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი | 25 |
| 4. | ი. ჭავჭავაძე. ოთ ისტორია | 35 |
| 5. | აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული | 40 |
| 6. | აკაკი. თორნიკე ერისთავი | 35 |
| 7. | აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით | 50 |
| 8. | აკაკი. ქუთათლის სიზმარი | 5 |
| 9. | აკაკი. ნაცარქექია | 10 |
| 10. | აკაკი. გოგია მეჩანგურე | 5 |
| 11. | ნ. ბარათაშვილი. ლექსები | 5 |
| 12. | ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი | 5 |
| 13. | ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა | 5 |
| 14. | ა. ყაზბეგი. ელისო | 10 |
| 15. | ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები | 50 |
| 16. | კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორია. ნ. ს. | 40 |
| 17. | ნ. მარრი исторія грузіи | 25 |
| 18. | ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება | 15 |
| 19. | ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია | 40 |
| 20. | ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია | 60 |

**და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.**

**გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი**

## „ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—8)

## უმთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

## ● ახალი წიგნი ●

### რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები

**იაკობ გოგებაშვილისა,**

ტომი პირველი. დაბეჭდილია უკვე 480 გვერდი, დანარჩენი 80 გვერდი დაიბეჭდება ამ თვის დამლევამდის. წიგნი დიდი ფორმატისაა: თითო გვერდზე დატეულია 38 სტრიქონი, თითო სტრიქონში არის 50 ასო. თითო წიგნი ჯდება **სამ აბაზად**. ამ ფასადვე მიიღებს წიგნს ყოველი მასწავლებელი, წიგნის მაღაზია და სხვები, თუ ვინც კი აქლავე დაიკვეთავენ წიგნსა და **ივლისის ათამდე** წარმოადგენენ ხამს აბაზსა. ერთად-ერთი საწყობი წიგნისა არის „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ამიტომ ფული უნდა გამოეგზავნოს ამ საზოგადოების გამგეობას, მისაგანვე მიიღებენ დამკვეთნი წიგნებსა **პირველს ენკენისთვემდის**. ტფილისს გარეშე გასაგზავნს ფულს იხდის დამკვეთელი. რათა გაგზავნა იაფად დაუჯდეთ, უნდა წიგნი დაიბარონ **ჯგუფ-ჯგუფად**, პარტიობით. გამოსვლის შემდეგ წიგნი დამკვეთელთათვის ეღირება მანეთად. (8—315—)